“დინამო” (თბილისი) _ “სპარტაკი” (მოსკოვი)

მოსკოვის ფეხბურთის მოყვარულნი დიდი ინტერესით ელოდნენ “სპარტაკისა” და თბილისის “დინამოს” გუნდების შეხვედრას, რომელიც 8 მაისს ჩატარდა.

პირველი ტაიმი “სპარტაკის” ტერიტორიული უპირატესობით ჩატარდა, რადგან ძლიერი ქარი აიძულებდა დინამოელებს უმთავრესად თავდაცვა ეწარმოებინათ. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა უშედეგოდ _ 0:0.

მეორე ტაიმში თბილისელთა თავდასხმის ხუთეულმა გაშლილი ფრონტით შეუტია სპარტაკელებს. კარგად თამაშობდნენ ბ. პაიჭაძე, ა. ზაზროშვილი და ა. ღოღობერიძე. მე-4 წუთზე გათამაშებული კომბინაცია შესანიშნავად დააგვირგვინა ბ. პაიჭაძემ. ამის შემდეგ დინამოელების თავდასხმა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე “დასახლდა”, მაგრამ ანგარიში ვერ გაადიდა. მატჩი დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით (1:0).

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 10 მაისი, 1949 წ.